

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-31-37>

ცნებებისა და განმარტებების შეუსაბამობა

ლიანა სუთიძე სამშენებლო მანქანების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: L.sutidze@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. მუზაშვილი, თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

E-mail: natelamuza@yahoo.com

მ. ოსაძე, თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

E-mail: marineosadze@mail.ru

ანოტაცია. გამომცემლობა „პალიტრა L“-მა ინგლისურიდან ქართულად თარგმნა და გამოსცა „**დიდი ვიზუალური ენციკლოპედია**“, რომლის წარდგენაში ვკითხულობთ, რომ „**ტერმინთა და განმარტებების ნაწილი ახლებით შეიცვალა, ზოგიერთის მნიშვნელობა გაიზარდა. შესაძლებელია კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობის შემოწმება შესაბამისი ილუსტრაციის დათვალიერებით**“, ეს ენციკლოპედიის ავტორთა სიტყვებია, რომლებმაც ენციკლოპედიის შემქმნისას შემოიკრიბეს ტერმინოლოგიის სპეციალისტები, ლინგვისტები, მეცნიერები...

კარგი იქნებოდა გამომცემლობას მთარგმნელებთან ერთად ანალოგიურად მოეწვია შესაბამისი სპე-

ციალისტები. ენციკლოპედიის ქართული თარგმანის იმ ნაწილს, რომელსაც მე სტატიაში განვიხილავ (წიგნი 4, თავი XVII და XVIII), არ ეტყობა ტექნიკური ტერმინოლოგიის და დარგის სპეციალისტების ხელი. უფრო მეტიც, ილუსტრაციებზე ისეთი ტერმინები და განმარტებებია გამოყენებული, რომლებიც საერთოდ არ არის დაკავშირებული და სრულ შეუსაბამობაშია მათ ფუნქციურ დანიშნულებასთან.

თავი XVII, „**სატვირთოები**“, აქ განიხილება: თვითმცლელი სატვირთო; ამწეები; კონტეინერი და სხვ.

თავი XVIII, „**გამძლე მექანიზმები**“, აქ განიხილება: ბულდოზერი; ბორბლებიანი მტვირთავი; ჰი-

დრავლიკური ექსკავატორი; სკრეპერი; გრეიდერი; მიწის სატკეპნი და სხვ.

ბუნებრივია, დავსვათ კითხვა – რას ნიშნავს ტერმინი „გამძლე“ და რა ნიშნით არ მიეკუთვნება მას ესა თუ ის მექანიზმი, თუნდაც, „სატვირთოები“. თარგმანში გამოყენებული ცნებების, ტერმინების და განმარტებების უმეტესობა აცდენილია ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მიღებულ და დამკვიდრებულ ცნებებსა და ტერმინებს და სახეზეა მათი შეუსაბამობა. ასევე, ილუსტრაციებზე გამოტანილი წარწერები ხშირად გრამატიკულად და შინაარსობრივად გაუმართავი და აბსურდულია.

მაგალითად, აღნიშნული ენციკლოპედიის ქართული თარგმანის მიხედვით ლაპოტი ბულდოზერში არის „ლითონის ჩაზნექილი მოწყობილობა“, ხოლო სკრეპერში – „თასი, ჩამჩა, ჩასაყრელი“. სინამდვილეში, ბულდოზერი აღჭურვილია ფარით, ხოლო სკრეპერი – ციცივით და ტერმინი „ლაპოტი“ საერთოდ არ გვხვდება ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში.

მაგალითად, „კაუჭი – მაგარი ლითონის ნაჭერი“, ასევე, „ბატისკისრისებრი შეერთება“ და სხვ. კაუჭი ლითონის ნაჭერი რომ არ არის, ამის ცოდნას სულაც არ სჭირდება სპეციალური განათლება, ხოლო „ბატისკისრისებრი შეერთება“ სრული კურიოზია.

აღნიშნული ენციკლოპედიის განხილული ნაწილების მთარგმნელებს ვურჩევდი ესარგებლათ ჩვენ მიერ გამოცემული განმარტებითი ლექსიკონით „ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო-საგზაო მანქანებსა და მოწყობილობებში“ და არსებული ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონებით.

საკვანძო სიტყვები: გამძლე მექანიზმები; ვიზუალური ენციკლოპედია; ლაპოტა; ტერმინი; პლატფორმა.

შესავალი

ახალი ცნებებისა და ტერმინების მოზღვავება უმაგალითო ტექნიკურ პროგრესთან არის დაკავშირებული, რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება. ცხადია, უცხოური ტერმინების შემოტანა აზიანებს ენას, თუმცა ამ რეალობისთვის სრულად გვერდის ავლა შეუძლებელია. როცა საქმე ეხება ეროვნულ ტერმინოლოგიურ ბაზაში მოცემულ და დამკვიდრებულ ტერმინთა შეცვლას ახლით, მას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, მით უმეტეს თუ ეს ტერმინი არ ასახავს ან არ შეესაბამება საგნის ფუნქციას.

ამ ბოლო ხანებში შესამჩნევად მოიმატა უცხოურიდან თარგმნილმა ტექნიკურმა ლიტერატურამ, რაც, თავისთავად, კარგია, თუმცა საკითხავია თარგმანის ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია მთარგმნელის კვალიფიკაციაზე და გამომცემლობის პასუხისმგებლობაზე. გამომცემლობა „პალიტრა L“-მა ქართულად თარგმნა და გამოსცა „დიდი ვიზუალური ენციკლოპედია“. ავტორთა მიერ აღნიშნული ენციკლოპედიის წარდგენაში ვკითხულობთ: „...შეკრიბეს ტერმინოლოგიის სპეციალისტები, ლინგვისტები, მეცნიერები, დოკუმენტური მეთოდის მცოდნეები... ტექნოლოგიის განვითარებამ და დაგროვილმა ცოდნამ ენციკლოპედიის შინაარსსაც დააჩნია კვალი. ტერმინთა და განმარტებათა ნაწილი ახლებით შეიცვალა, ზოგიერთის მნიშვნელობა გაიზარდა“.

და კიდევ: „შესაძლებელია კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობის შემოწმება შესაბამისი ილუსტრაციის დათვალიერებით“.

ამთავითვე აღვნიშნავ, რომ განსახილველი ენციკლოპედიის იმ ნაწილს, რომელსაც მე, როგორც დარგის და ტექნიკური ტერმინოლოგიის სპეციალისტი, შევაფასებ (წიგნი 4, თავი XVII და XVIII) არ ეტყობა ტექნიკური ტერმინოლოგიის სპეციალისტების და მეცნიერების ხელი და უმეტეს შემთხვევაში არც „კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა“ არის თანხვედნილი ილუსტრაციასთან. უფრო მეტიც, ზოგიერთი ტერმინი და განმარტება ისეა შეცვლილი, რომ არანაირად არ არის დაკავშირებული და სრულ შეუსაბამობაშია მის ფუნქციურ დანიშნულებასთან.

ჩემთვის, როგორც ამ დარგის სპეციალისტისთვის, გაუგებარია ცნება „გამძლე მექანიზმები“ (თავი XVIII), რომელშიც განიხილება ანუ **გამძლე მექანიზმები**: ბულდოზერი; სკრეპერი, ტრაქტორი; გრეიდერი; ჰიდრავლიკური ექსკავატორი; მიწის სატკეპნი და სამიწათმოქმედო მექანიზმები.

ენციკლოპედიის მიხედვით, ჩვეულებრივი მექანიზმები: სატვირთოები; ამწეები; კონტეინერი (რომელიც საერთოდ არ წარმოადგენს მექანიზმს).

გაუგებარია, რა ნიშნით მიაკუთვნეს ზემოთ ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმები „გამძლეს“ ან რად არ მიაკუთვნეს მას სხვა დანარჩენები.

სწორედ ცნება „გამძლე“ ახალი, რომელიც ენციკლოპედიის ავტორებმა შემოიტანეს.

ძირითადი ნაწილი

რამდენიმე მექანიზმის მაგალითით შევაფასოთ ცნებათა და ილუსტრაციებზე გამოტანილი ტერმი-

ნების და მათი განმარტებების შესაბამისობა.

განმარტება მკითხველს უხსნის ილუსტრაციაზე გამოსახული ნაწილის თვისებებს, ფუნქციას და მასსიათებლებს, – გვეუბნება ენციკლოპედია.

ჰიდრავლიკური ექსკავატორი – სხვადასხვა მასალის გადასატანი მანქანა, რომელიც შედგება მბრუნავ კაბინაზე მიმაგრებული ჩამჩისაგან.

ჰიდრავლიკური ექსკავატორი არის კლასიკური მიწასათხრელი მანქანა შებრუნებული ციცხვით („ჩამჩა“ დიდი ხანია აღარ გამოიყენება). ილუსტრაციაზე ნაჩვენებ ექსკავატორს ხშირად „უკუნიჩახსაც“ უწოდებენ. მას არ გადააქვს მოთხრილი გრუნტი, ყრის თხრილის გასწვრივ ან სატვირთო მანქანაზე. ციცხვი არ არის უშუალოდ მიმაგრებული „მბრუნავ კაბინაზე“ ანუ მემანქანის ჯიხურზე, არამედ სახელურთან ერთად ქმნის მუშა ორგანოს, რომელიც სახსრულადაა დაკავშირებული ისართან, რომელსაც ენციკლოპედია, რატომღაც **ლობურას** უწოდებს. **ლობურა** ჩვენთვის შემოღობვის ასოციაციას იწვევს.

ექსკავატორის ილუსტრაციაზე დატანილია შემდეგი აღნიშვნები, ტერმინები და განმარტებები: **უკანა ჩამჩა – ჩამჩა მიწაში ჩასარჭობად, რომელიც იტვირთება და იწვევს ტრაქტორის მიმართულებით**. ჩამჩის ჩარჭობა მიწაში წარმოუდგენელია და, ასევე, გაურკვეველია, რას ნიშნავს „მისი აწვევა ტრაქტორის მიმართულებით“. თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი **ჩამჩა** დიდი ხანია აღარ გამოიყენება.

მბრუნავი კაბინა – რომელიც ამაგრებს ლობურას და ბრუნავს საბრუნავ წრეზე. ეს არის ე.წ. ზედნაშენი, საბრუნო ბაქანი მემანქანის ჯიხურითა და მუშა ორგანოთი.

ჩამჩის ცილინდრი – შედგება ჩამჩის მოძრაობის

მაკონტროლებელი ტელესკოპური მკლავისაგან (სახელურისაგან). სახელური არ არის ტელესკოპური, ხოლო ცილინდრი კი არ აკონტროლებს, არამედ უზრუნველყოფს ციცხვის მოძრაობას სახსარში.

მკლავის (სახელურის) ცილინდრი, - ჰიდრავლიკური მექანიზმი, რომელიც შედგება მკლავის მოძრაობის მაკონტროლებელი მილისაგან. საკვირველია, რას უწოდებენ „მილს“?! ჰიდროცილინდრში გვაქვს დგუშის მოძრაობა, რომელიც ემსახურება სახელურის აწევ-დაწევას ციცხვთან ერთად. თურმე, **მკლავი ყოფილა რხევადი ნაწილი, რომელიც ამოძრავებს ჩამჩას ტრაქტორის მიმართულებით ან მისგან მოშორებით.** აქ კომენტარი ზედმეტია!

ასევე, უცნაურია განმარტება „განივი ბიჯგი – მოძრავი კომპონენტი, რომელიც ამყარებს მანქანას, როცა ექსკავატორი დაქოქილია“.

ბულდოზერი, – სათხრელი მანქანა, რომელიც შედგება მუხლუხი ტრაქტორის ლაპოტისა და, ხშირ შემთხვევაში, მჭრელისაგან.

შეგნიშნავთ, რომ ბულდოზერი არის მიწასათხრელი სატრანსპორტო მანქანა, რომელიც ძირითადად მოსასწორებელი სამუშაოებისათვის და მცირე სიღრმის თხრილების მოსაწყობად გამოიყენება.

ილუსტრაციაზე დატანილია შემდეგი ტერმინები და განმარტებები:

დამწვარი გაზები ანუ ნამწვი აირები;

ლაპოტი, ლითონის ჩაზნექილი მოწყობილობა, – საინტერესოა, საიდან მოიტანეს ტერმინი **ლაპოტი**, რომელიც არც ერთ ლექსიკონში არ იძებნება, გარდა დ. ჩუბინაშვილისა, რომლის მიხედვითაც იგი არის დიდი ზომის ჩამჩა, ხოლო **ჩაზნექილი მოწყობილობა –** სრული აბსურდია. ბულდოზერის მუშა ორგანოა ფარი, რომელიც აღჭურვილია მჭრელი პირით

და კონსტრუქციულად სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს. ტრაქტორის უკანა მხარეს კი დაყენებულია გამაფხვიერებელი მოწყობილობა საფხვიერებელი კბილებით, რომელიც თარგმანში შემდეგნაირად არის აღწერილი: **მჭრელი ღერო, – მჭრელი ნაწილი, რომელიც ერჭობა მიწაში მის გასაჭრელად; მჭრელი წვეროს კბილანა, – კბილანების ბოლოში მიმაგრებული ნაწილი, რომელიც ჭრის მაგარ მიწას; პროტექტორი ღერო, – კბილანების შუა ნაწილზე მიმაგრებული ნაწილი კბილანების დასამაგრებლად.**

ამ გრამატიკულადაც გაუმართავ აღწერაში საფხვიერებელ კბილებს დაარქვეს **კბილანები**, გრუნტის თხრას – **მიწაში ჩარჭობა**, ხოლო გასაფხვიერებელ გრუნტს – **მაგარი მიწა**.

მუხლუხა დასახსრული ჯაჭვი, რომელიც ბრუნავს მიწასა და ბორბლებს შორის, – რა შეიძლება ეწოდოს ამ დამაბნეველ და უაზრო განმარტებას?!

სკრეპერი, – რომელიც იყენებს ლაპოტს მიწის ან რკინიგზის ბალასტის დასამტვრევად და ნამტვრევაში გადააქვს. სინამდვილეში, სკრეპერი არის მიწასათხრელი-სატრანსპორტო მანქანა, აღჭურვილია სხვადასხვა კონსტრუქციის ციცხვით და მოჭრილი გრუნტი გადააქვს გარკვეულ მანძილზე. მას არ შეუძლია ბალასტის დამტვრევა, ხოლო მიწას არ ამტვრევინ, მას თხრიან. სკრეპერის ილუსტრაციაზე მითითებულია: **ლაპოტი, – ჩასაყარი; თასი; ბატისკოსრისებრი შემაერთებელი, – აერთებს ლაპოტს ტრაქტორთან, –** ეს არის ე.წ. თაღხორთუმი, რომელიც მისაბმელ და ნახევრად მისაბმელ სკრეპერებში გამოიყენება. ეს ტერმინი დამკვიდრებულია ქართულ ტექნიკურ ლიტერატურასა და ტერმინოლოგიაში.

გრეიდერი, – მანქანა მბრუნავი ლაპოტით, რომელიც მდებარეობს ორი ბორბლის ღერძს შორის.

როგორც ვხედავთ, ლაპოტი აქ უკვე „მიწის მოსასწორებელი აღჭურვილობის ნაწილია“, რომელიც, თურმე, ბრუნავს და რომ „არ დაეჯახოს მოძრავი ლაპოტი ბორბლებს, ჩარჩოს წინა ნაწილი საკმაოდ გრძელია“. თარგმანის მიხედვით წინა ბორბალი წინააღმდეგობას უწევს დაბრკოლებას, ხოლო წინა ღერძი მოღუნული ყოფილა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ბორბლებიანი მტვირთავი, – სათხრელი მანქანა, რომელიც შედგება ბორბლებიანი ტრაქტორის, უკანა გამაფხვიერებლისა და წინა მტვირთავისაგან. მექანიზმის დასახელება და დანიშნულება არ ემთხვევა ერთმანეთს. ილუსტრაციაზე წარმოდგენილია ჩვეულებრივი ჰიდრავლიკური ექსკავატორი პნევმატიკურ სვლაზე, აღჭურვილი შებრუნებული ციციხვით. მთარგმნელები პნევმატიკურ სავალ თვლებს რატომღაც **ბორბლებად** მოიხსენიებენ, ხოლო ჩვეულებრივი ლითონის კონსტრუქციის ისარს, რატომღაც, **ღობურას** უწოდებენ. აქვე მკითხველისა და დარგის სპეციალისტების განსასჯელად კომენტარების გარეშე დავამატებთ მექანიზმების ილუსტრაციებზე დატანილ, მეტ-ნაკლებად „საინტერესო“ ტერმინებსა და განმარტებებს:

ამწვეი თოკი; ორფენიანი პალეტი, ზედა და ქვედა ფიცრულით, რომელიც ხანდახან შეუქცევადია; სტაბილიზატორის ლილვი, – გრძელი ნაწილი, იცავს სატვირთოს გადაყირავებისაგან; საორთითე შესასვლელი, ორთითას სათავსო; ამწეს ბილიკი, – დირეები, რომლის გასწვრივ და ქვეშ მოძრაობენ ურიკები; კიბე, – მექანიზმი, რომელიც შედგება კაზინაში ასასვლელი საფეხურებისა და მოაჯირისაგან; ჩარჩო, – თვითმცლელი სატვირთოს ლითონის სტრუქტურა.

შევნიშნავ, რომ მთარგმნელები (ან ავტორებიც) ყველა წარმოდგენილ მანქანა-მექანიზმში „კონსტრუქციის“ ნაცვლად იყენებენ ტერმინს „სტრუქტურა“, რაც არასწორად მიმაჩნია, რადგან მასში იგულისხმება მასალის აღნაგობა და არა მანქანის ან ნაგებობის კონსტრუქცია.

მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერმინებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრის შეუსაბამობასთან.

დასკვნა

ჩვენი სასწავლო და პოპულარული ტექნიკური ლიტერატურა კარგა ხანია „მდიდრდება“ უცხო ენებიდან თარგმნილი ტექსტებით, განსაკუთრებით – რუსულიდან და ინგლისურიდან. ამ შემთხვევაში გამომცემლობა ვალდებულია, თარგმანი დაუკვეთოს არა მხოლოდ ენის მცოდნეს, არამედ ტექნიკური დარგისა და ტერმინოლოგიის სპეციალისტს, რათა თარგმანში ზუსტად იყოს დაცული ცნების, ტერმინისა და განმარტების შესაბამისობა.

ჩვენ წარმოვადგინეთ ენციკლოპედიის განსახილველ ნაწილში არსებული თემების მცირე ნაწილი, სადაც განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი ცნებებისა და ტერმინების შეუსაბამობა, რაც მიუთითებს მთარგმნელთა არა მხოლოდ არაკომპეტენტურობაზე, არამედ ტერმინოლოგიისადმი ზერეულე და საქმისადმი დამაზიანებელ მიდგომაზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ენციკლოპედიის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი და თავისთავად ისიც, რომ მოხდა მისი გამოცემა. მით უმეტეს ამ ფონზე სამწუხაროა კონტენტის საკმაოდ დაბალი დონე, რაც უარყოფითად მოქმედებს საერთო შეფასებაზე.

ლიტერატურა

1. Great Visual Encyclopedia. (Book 4). (2020). Tbilisi: Palitra – L Publishing. (In Georgian);
 2. Technical terminology (Georgian-Russian part). (1982). Tbilisi: Metsniereba, 568p. (In Georgian);
 3. Technical terminology (Russian-Georgian part). (1989). Tbilisi: Metsniereba, 521p. (In Georgian);
 4. Sutidze, L., Iakobashvili, G. (2012). Explanatory dictionary of hoist transport, road construction machines and equipment. Tbilisi: Georgian Technical University, 124p.
 5. Chubinishvili, D. (1984). Georgian-Russian Dictionary, 2nd Edition. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1779p.
-

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-31-37>

Discrepancy Between Concepts and Definitions

Liana Sutidze

Department of Building Machines, Georgian Technical University, Georgia, 0160,
Tbilisi, 68^b, M. Kostava str.
E-mail: l.sutidze@gtu.ge

Reviewers:

N. Muzashvili, Senior Scientific Worker, Department of Scientific Terminology and Translating Dictionaries, Institute of Linguistics named after Arn. Chikobava, TSU

E-mail: natelamuza@yahoo.com

M. Osadze, Researcher, Head of the Department of Scientific Terminology and Translating Dictionaries, named after Arn. Chikobava Institute of Linguistics, TSU

E-mail: marineosadze@mail.ru

Abstract. The Palitra-L Publishing House translated the Great Visual Encyclopedia into Georgian and published it, in the presentation of which we read that "part of the terms and definitions have been changed with new ones, the meaning of some has increased. It is possible to check the meaning of a specific word by checking relevant illustration" – say the authors of the book, who gathered specialists in terminology, linguists, scientists when creating the encyclopedia.

It would be better if the publishing house had invited the relevant specialists of the field as well. The part of the Georgian translation of the encyclopedia that I consider in the article (Book 4, Chapters XVII and XVIII) does not

seem to have been reviewed by the appropriate specialists of the field and technical terminology. Moreover, the terms and definitions used in the illustrations are not related and completely inconsistent with their functional purpose.

Chapter XVII, Trucks, considered: dumping truck; cranes; container, etc.

Chapter XVIII, Robust Mechanisms, considered: bulldozer; wheeled loader; hydraulic excavator; scraper; grader; land roller, etc.

Obviously, the question arises as to the meaning of the term Robust and why it does not combine a particular mechanism, even trucks. Most of the concepts, terms and definitions used in the translation differ from the concepts and terms adopted and established in Georgian technical terminology, and their inconsistency is obvious. Also, captions for illustrations are often grammatically and meaningfully incorrect and absurd.

For example, according to the Georgian translation of the encyclopedia, the blade -"lapoti" in the bulldozer is a "metal concave device", and in the scraper – "bowl, ladle, hopper". In fact, the bulldozer is equipped with dozer blade, while the scraper is equipped with a bucket, and the term blade – "lapoti" is not found at all in Georgian technical terminology.

For example, "hook – a piece of hard metal", as well as "gooseneck connection" and others. The fact that hook is not a piece of metal does not require any special education, as for the "gooseneck connection" – it is a complete curious thing.

I would recommend translators of the above discussed sections of the encyclopedia to use the explanatory dictionary of "Hoist transport, road construction machines and equipment" published by us as well as the existing Georgian technical terminological dictionaries.

Keywords: lapoti; platform; robust arrangements; term; visual encyclopedia.

განხილვის თარიღი 23.02.2022

შემოსვლის თარიღი 10.03.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.09.2022